20.06.2024

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2024 წლის მაისი

ექსპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 0.3 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 3.6 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 7.5 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 25.6 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 5.7 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 13.2 პროცენტით. ამავე პერიოდში ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე ფასები შემცირდა 25.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის მაისში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2023 წლის მაისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**107.5**	**7.52**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**125.6**	**2.78**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**105.7**	**5.15**
10	კვების პროდუქტები	133.9	4.47
11	სასმელები	111.7	2.89
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**74.5**	**-0.57**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**113.2**	**0.16**

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.06.2024

ექსპორტის ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge